



წელიწადი მემოსე

წელიწადი მემოსე

სამეურნეო ჟურნალი

გოსსავალი



ცენი.

№ № 11 & 12

შინაარსი:

დ. გორიამაშვილი...	ვაზის მენობა რისტერის წესით	3
ვ. რცხილაძე	დვინის ჭურჭლის გარეცხვა (პრ. პეტრიძის თხოვნებთან)	5
ს. ელივა	სამეურნეო მცენარეულობა ჩვენში	8
ა. კახიანი	ამერიკულ ვაზის კულტურის მცოდნე ჰირთა თათბირი (რუსული)	10
ქ-ნი სარდა	პროგრამა ნავთღუსში დაარსებულ კურსებისა	16
ნ. ჭერვილი	ნაშენი ვაზით ვაჭრობა გურიაში	18

უურადლებო ცნობები:

ნაწილი ფქვილმოკიდებული	20
ხესილის ტილის გასაფრეინებელი წამალი	20

ფუბალი წელიწადში ღირს—3 მანეთი.

მისამართი: Тифлиς, Барятинская 5.

სამეურნეო ქურხალი

მიუსაპალი

(იბეჭდება ორ კვირაში ერთხელ)

წასრულ წელს ქურხალში იღებდნენ მონაწილეობას: — ახოშვილი ვ., ანაზღეული ბ., ახალაია ი., გულბათიშვილი ვ., გადმოხვეწილი ბ., გვარამაძე ილი., გორთამაშვილი დ., გამხარაშვილი გ., თაქთაქიშვილი გ., იოსელიანი ე., კახელიძე ი., მჭედლიშვილი ვ., მელია პ., მღვანი დ., შანაბელი ა., შანაბელი ი., ნახუჯრიშვილი გ., როლოვი ა., რუსიშვილი ა., რცხილაძე ვ., ქუთათელაძე ი., ყავრიშვილი ნ., ჩივაძე ე., ჩხეიძე ყ., ცხადაძე გ., ღ—ძე დ., მღ. ჟალიაშვილი, წ—ძე აპ., ხეთაგური ს., უ—ელი ვ., შენგელია ვ.

რედაქცია მოელის თანამშრომლობას სხვებიდანაც.

თანამშრომელთა საყურადღებოდ.

ქურხალის შემოსავლიდან გაისტუმრება ხარჯი სტამბისა და კანცელარიისა, დანარჩენი (თუ რამე დარჩა) წლის დამლევს დაურიგდებათ თანამშრომლებს პროპორციულად მათი ნაშრომისა.

დასაბეჭდად მიღებული წერილები შეიძლება რედაქციამ შეასწოროს და შეამოკლოს. წერილები და კორექსპონდენციები, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, არც შეინახებიან დასაბრუნებლად.


რედაქცია მზათ არის აღმოუჩინოს „მოსავლის“ მკითხველებს ყოველ გვარი შეუამავლობა სამეურნეო იარაღებისა და მაშინების და აგრედვე ყველა სამეურნეო ნაწარმოების შექმნა-გასაღებაში.

განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე. ჩვეულებრივი სტრიქონი (გენური ან აკადემიური ასოთი) განცხადებისა ღირს **ორი შაური**.

წლიური აბონემენტებისათვის განცხადების ფასი რედაქციასთან **შეთანხმებით**. განცხადების ფასი წინდაწინვე უნდა იყოს წარმოდგენილი.

რედაქცია ქურხალის ხელისმომწერლებს წლის დამლევს **გაუგზავნის უფასოდ დამატება-ბროშურას** მეურნეობის რომელიმე დარგის შესახებ.

რედაქტორ-გამომცემელი **მ. ი. რცხილაძე**



ვაზის მუწობა რისტერის წესით

1911 წლის „მოსავალში“ (იხ. № 14) იყო მოთავსებული ჩემი წერილი, სადაც მოკლედ ავწერე რისტერის წესით მუწობა. ამ წერილში კიდევ მინდა დაუბრუნდე ამ საინტერესო საკითხს და გავაცნო მკითხველი ჩემს წლებანდელს ვარჯიშობას ამ მუწობაზე და ან რა შედეგი მივიღე.

შარშანდლით წაქეზებულმა წელს დიდის ხალისით მიეყავი ხელი ამ მუწობას და წინამძღვრიანთ კარის სამეურნეო სასწავლებლის ფერმაში, სადაც მე ვმუშაობ წელს, ვამყენე 8000 ნამყენი.

რასაკვირველია ჩემი ცდა აქ მოკლებული იყო იმ ხელშეწყობას, როგორც შეფერის ასეთს წესზედ მუწობას. ყველამ კარგად იცის, თუ როგორი იქნება მცირე წლოვანი მოწაფის ნამუშავარი, მაგრამ შედეგი მივიღეთ შარშანდელივით ძვირფასი: შუათანათ სამმა მეოთხედმა იხარა (75⁰/0).

მე ამ ნამყენებს არ ვათვლი კიდევ იმ ნამყენებს, რომლებიც ცოცხლები არიან შეხორცებულნი, მაგრამ რაიმე მიზეზით ამომტვრეული ან ამომპალი აქვთ მთავარი კვირტი, რომლის მაგივრად უეჭველად მძინარე კვირტი გაიღვიძებს. იმედი მაქვს 60⁰/0 პირველი ხარისხის გამოვა და დანარჩენებიც გამოდგებიან მეორე წელიწადს დასარგველად.

წელს გამოსაცდელად რამდენიმე ცვლილება მოვახდინე ამ მუწობაში. 2100 ნამყენი შევახვიე და ისე ჩავაწყე ყუთებში და დანარჩენი კი არ შემე-

ხვევია, როგორც საზოგადოდ ამ წესით უნდა; შეხვეულმა ნამყენებმა 5⁰/0 უფრო ნაკლები იხარა, რაც იმას ამტკიცებს რომ შეხვევა სრულებით მეტია.

ცოტა ნამყენები ვამყენე ძველებურად, შევახვიე და ქვიშაში დავრგე; თბილ ოთახში არა მქონია. მათში 20⁰/0-მა იხარა მარტო. რამდენიმე ათასს ძირები დაუფხაქნე ბევრი ფესვის გამოსაწვევად, მაგრამ დიდი მნიშვნელობა არ იქონია, რადგანაც ფესვი მუხლებიდან გამოდის, სადაც გაწმენდის დროს როდესაც კვირტებს აცლიან ისეც ბევრი ქრილობა ეძლევა.

წიგნებში იმას გვიჩვენებენ, რომ გადარგვის დროს კვირტი დასიებული უნდა იყოს, ან სულ ცოტათი გაშლილი, თორემ ნამყენს ამოაძრობსო. მე კი წელს დავრწმუნდი გამოცდილებით რომ უნდა დავაცადოთ სანამ ყლორტი ერთ გოჯის ტოლა გაიზრდება. ჩემი წლებანდელი ყლორტიანი გადარგული ნამყენები არცერთი არ გამხმარა; ყლორტიანი ნამყენი ყუთში არ ამოშრება მალე, როგორც ბევრსა ჰგონია, რადგანაც ნამყენი ყუთში დატანებულ ხავსში ცოტა საკვებავ მასალასაც კი პოულობს.

მე დარწმუნებული ვარ, რომ თუ მევენახემ კარგად შეუწყო ხელი და არ მოაკლო არაფერი რაც საჭიროა, მაგალითად ზომიერი სითბო, წმინდა ჰაერი და დროზე გაბანვა ყუთებისა, მაშინ 100⁰/0-ზე მეტი არ უნდა გახმეს არასოდეს.

ვინც ჟურნალ „Прогрес.Садоводст.“-ს იწერს, ის უეჭველად მიიღებდა ეტინ-

გერის წიგნს მევენახეობის შესახებ, სადაც კარგა ვრცლათ დასურათებით არის აწერილი ამ წესით მენობა. რომელიც მე მოკლედ ავწერე. საუბედუროდ უვარჯიშოდ ვერ არის გასაგები ბევრისთვის ასეთი მენობა და თვითონ ეტინგერის წიგნიც კი, თავისი აუარებელი სურათებით აშინებს გამოუცდელ მევენახეს და ხელს აღებინებს საქმეზე. ეტინგერი ძალიან აძნელებს ამ საქმეს თუმცა ასეთი მენობა ყოველად ადვილი საქმეა.

ეტინგერი სწერს თუ იხარა 30⁰/ო-მა, კარგიაო, თუმცა 40⁰/ო-იც შეიძლება და სამხრეთისაკენ უფრო მეტი ხარობსო. ჩვენ კი შარშან კოლონიაში, სადაც მე ვვარჯიშობდი, მივიღეთ 80⁰/ო ნახარები, საიდანაც კარგები ამოირჩია 65⁰/ო. წელს კი მივიღე აქ 75⁰/ო ნახარები და იმედია 60⁰/ო საუკეთესო ნამყენი ამოირჩევა მათში.

წელს ჩვენ მენობა დავიწყეთ 4 აპრილს. კვირტები უკვე დაბერილი იყო და იშლებოდა. ერთი კვირის შემდეგ ყველა ნამყენები თბილ ოთახში გადატანილი და ჩაწყობილი ხავსში შეხორცდნენ კარგად და ყლორტები გამოშალეს. სითბოში დარჩნენ 12 დღე. იქიდან გადავიტანეთ გრილ ოთახში, სადაც ისინი შევაჩვიეთ გარეთა ჰავას და დავუმაგრეთ შესახორცებელი კუჭრი. ერთი კვირის შემდეგ იქიდან გადავრგვივით სანერგეში. გადარგვის დროს არ გადავვიგდია არც ერთი ნამყენი, რადგანაც ყუთებში ყველა ნახარები იყო.

პირველად ასეთი მენობა კავკასიაში დაიწყო ბ-ნმა გორიჩინმა 1908 წელს, რომელიც გერმანიიდან მოწვეული იყო განჯაში ნემენცი მემამულეები-

საგან, რომ კარგად დაეყენებინა მენობა და ესწავლებინა მათთვისაც. გორიჩინი მსახურობდა გუმმელეების მამულში ორი წელიწადი, სადაც მოაწყო კარგად მენობის საქმე. ამისათვის ააშენა შესაფერი შენობა, დარგა 1 დესეტინა ამერიკული ვაზი, რომელიც ეხლა უკვე 35000 ნამყენს იძლევა. გორიჩინს სწავლა ჰქონდა დამთავრებული ვენაში, კლოსტერნეუბურგის სასწავლებელში და შემდეგ თურმე მუშაობდა რისტერის განთქმულ სანერგეში, სადაც ყოველ წელიწადს მილიონობით ამენობენ, და კარგად შეისწავლა ამნაირი მენობა. მე განჯაში მივედი მოვარჯიშეთ ნიკიტის სასწავლებლის გათავების შემდეგ 1910 წელს. ძალიან მეინტერესებოდა ამნაირი მენობის პრაქტიკული შესწავლა. გორიჩინი მალე წავიდა ისევ გერმანიაში და ორი თვის შემდეგ იმის თანამდებობა ჩამაბარეს მე. გორიჩინთან არ მიმუშავებია მენობაში, დავიგვიანე, მაგრამ მუშების შემწეობით, რომლებიც მასთან მუშაობდნენ, შეუდექი მეც ასევე მენობას და, როგორც ზევითა ვწერდი, 80⁰/ო ვახარეთ.

წელს ასეთნაირათ ვამყენი წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სასწავლებლის ფერმაში, სადაც ყველაფერ სამუშაოს ჩემი მოწაფეები ასრულებდნენ. ყველამ კარგად იცის თუ როგორ მუშაობს საზოგადოდ მოწაფე, რომელიც სწავლობს და დანა პირველად უჭერია ხელში. საზოგადოდ ეს ახალი საქმე აქ მოკლებული იყო იმ ხელშეწყობას, როგორც საქიროა, მაგრამ მიუხედავად ამისა შედეგი ძვირფასი მივიღეთ მაინც.

თუ რა დიდი უპირატესობა აქვს ამ მენობას, ამას ლაპარაკი აღარ უნდა-

საკმარისია ვსთქვათ, რომ ამისთანა ნამყენების გაკეთება უფრო გაცილებით ადვილია (ძველ წესზე შეხვევაზე ნახევარი ღრო მიდის, აქ 1 მუშა 800 ცალს ამყნობს) და ორჯელ და ზოგჯერ სამჯერაც მეტი ხარობს, რასაც დაკვირვება ამ ორ წელიწადში გვიმტკიცებს. ამისთანა ნამყენები რომ გაიყიდოს ორჯელ იაფად, მაინც დიდი მოგება დარჩება. ამ მყნობას კიდევ აუარებელი სხვა ბევრი კარგი თვისებაცა აქვს. შესადუღებლად, სახარებლად 2 კვირას ანდომებს და შემდეგ მთელი გაზაფხული და ზაფხული იზრდება. ძველებურად ნამყენი 5 კვირაში მარტო შეხორცდება ხოლმე და ძალიან ნელა იზრდება შემდეგ შემოდგომამდე. ჩვენი ნამყენები კი 2—5 ვერშოკიანი ყლორტებით და ასეთივე გრძელი ფესვებით არის შემოსილი ახლავე, როდესაც სხვა ნამყენებს ყლორტი სულ არ უჩანთ. რამდენიმე გადავრგე შარშანდელ ვაზებთან და კარგად იხარეს, არც ეტყობა, რომელია წლიევანდელი და შარშანდელი ნამყენი, ისინიც იმ სიმაღლეებია.

სასურველია რომ ქართულმა საშეურნეო საზოგადოებამ და ყველა

დაინტერესებულმა მევენახეებმა მიაკციონ ყურადღება ამ მუშაობას, რომ თვითონაც გამოცადონ და გავრცელდეს. ამისათვის აუცილებელი საჭირო არაა შუშაბანდიანი ოთახი, ყველა ოთახში შეიძლება, სადაც სინათლე და სითბო იქნება.

ჩვენი გადამხმარი ვენახების გაშენება იმით არის შეფერხებული, რომ ნამყენი ვაზი არ იშოვება, ძვირია. თუ კი ჩვენი გლეხი, რომელმაც არ იცის მყნობა, 25 მანეთად იყიდის ათასს ნამყენს (ეს შესაძლებელია და გამყიდველს კარგი მოგება დარჩება), მაშინ თავისუფლად გააკეთებს ვენახს. ჩემის ანგარიშით ამერიკული ვაზიც რომ ვიყიდოთ მაინც გაკეთება ათასი ნამყენისა 8 მანეთზე მეტი არ დაჯდება: ვიანგარიშებთ რომ სულ უკანასკნელი 1/2 იხარებს, მაშ ათასი 16 მანეთი ჯდება. თუ 25 მანეთათ გაიყიდება რასა ვკარგავთ?

ვისაც სურს თავის თვლით ნახოს და გაეცნოს ამ საქმეს, ვსთხოვ მობრძანდეს წინამძღვარიანთკარის სკოლის ფერმაში.

აქაური მასწავლებელი

დ. გორთამაშვილი

ღვინის ჭურჭლის გარეცხვა

(პროფესორ პეტრიაშვილის თხზულებიდან)

ყოველი ჭურჭელი, ახალია თუ ძველი, სანამ ღვინო ჩაისხმება შიგ, უნდა გაისინჯოს მთელია თუ არა, ღვინო ხომ არ გაუვა, და შემდეგ კარგად გაირეცხოს. თუ ახალია ჭურჭელი, მას უნდა გამოსცალდეს ყველა ის ნივთიერება, რაც ღვინოში შეიძლება გადავიდეს. ქვევრი იქნება თუ ბოჩკა სულ ერთია ჯერ ცივი წყალით უნდა გაი-

რეცხოს და შემდეგ ორჯერ-სამჯერ მდულარე წყალი გამოველოს, რომ ჭურჭელი კარგად გაიჟენთოს, გაუვალი გახდეს. რამდენიმე ხნის შემდეგ, ჭურჭელი რომ კარგად გამოშრება, თუ იგი ბოჩკაა, ჩაისხმება შიგ გოგირდის სიმჟავის ხსნილი (ერთი ნაწილი სიმჟავე და ხუთმეტი ნაწილი წყალი); თუ ქვევრია—ღვინის სიმჟავე (ერთი

ნაწილი სიმჟავე და ხუთი ნაწილი წყალი). ბოჩკებს აჭანჭყარებენ გაგორგამოგორებით, ქვევრებს კიდევ ჰრეცხავენ სარცხით. ბოჩკებსაც და ქვევრებსაც მთელი შიგნითი ზედაპირი კარგად უნდა დაუსველდეთ. ერთი ჭურჭლის ნარეცხი სიმჟავე გამოსადეგია შვიდი-რვა ჭურჭლის გამოსარეცხად.

მერე ჭურჭელს გამორეცხავენ რამდენჯერმე ცივი წყლით და ერთი დღით მაინც სუფთა წყალით სავსეს დაამყოფებენ. შემდეგ ამისა ჭურჭელი უნდა კიდევ გაირეცხოს მღუღარე წყალით და ისევ ცივი წყალი გამოველოს უკანასკნელად. ურიგო არ იქნება გაშრობის შემდეგ ჭურჭელი ღვინითაც გაირეცხოს ცოტაოდნად.

ნახმარი ჭურჭელი უფრო დიდ ყურადღებას თხოულობს გაწმენდაში, მეტადრე თუ ობი აქვს მოკიდებული ან თხლე აქვს შერჩენილი კედლებზე. რასაკვირველია იმას არა ემჯობინება-რა ჭურჭელი ხმარების შემდეგ ისე იყოს შენახული, რომ ბოლოს დიდი გაწმენდა არ დასჭირდეს მას. ამ აზრით ჭურჭელს დაცარიელების შემდეგ ცოცხით, სარცხით ან ტილოთი გასწმენდავენ ხოლმე შიგნიდან და, თუ საჭიროა, წყალსაც გამოავლებენ. ჭურჭლის კედლებიდან უნდა აიწმინდოს ყოველი ნაწილი ღვინისა. გაშრობის შემდეგ გოგირდით ჩაუბოლებენ. რაც შიგ მჟავადია გოგორდის დაწვაზე დაიხარჯება და მჟავადის მაგივრად გოგირდეული სიმჟავე (SO_2) წარმოსდგება. გოგირდით ჩაბოლება ჭურჭელს, სანამ იგი ცარიელია, ყოველ თვე-და-თვე უნდა თითოჯერ მაინც. ასე ჭურჭელი სუფთად ინახება და ხმარების წინ მხოლოდ ცივი წყალით უნდა ამოირეცხოს.

ხმარების შემდეგ უყურადღებოდ დატოვებულ გაუსუფთავებელ ჭურჭელს უეჭველად ობი მოეკიდება და ცუდსუნსა და გემოს მიიღებს.

ჭურჭელში ხარჩენილი თხლე ძალიან მალე ფუჭდება და, თუ კარგად არ გაიწმინდა ამ თხლისაგან ქვევრი ან ბოჩკა, ღვინოც უეჭველად წახდება. ესეთს ჭურჭელს ჯერ კარგად უნდა ჩაეფხიკოს კედლები, მოშორდეს ზედ მიკრული თხლე, ობი და სხვა და შემდეგ გაირეცხოს—გაიწმინდოს როგორც ზემოდ არის ნათქვამი. თუ სუნი მაინც არ გამოეცალა ჭურჭელს, შემდეგ საშუალებებს ხმარობენ:

1) პირველი საშუალება*.)-- ოცდაათ ლიტრ წყალში ჩაჰყრიან ხუთ გირვანქა დამწვარ კირს და ამ ნარევით გარეცხენ ჭურჭელს კარგად; შემდეგ ჩაუბოლებენ გოგორდს და ცხელი წყალით გარეცხავენ; მერე გამოავლებენ ცოტაოდენ არაყს ან ალკოგოლს.

თუ ჭურჭლის კედლებს გამხმარი თხლე აქვს ზედ შეკოწიწებული, მაშინ ხუთ ლიტრ ცხელ წყალში გახსნიან 60 გრამ კირიან გოგორდ სიმჟავის მჟავე მარილს $\text{Ca}(\text{HSO}_4)_2$ და ამ ხსნილით გარეცხენ ჭურჭელს კარგად. შემდეგ ერთი დღით დააცდიან ჭურჭელს რომ გამოშრეს და მერე ხელმეორედ გარეცხავენ მლაშე წყალით (ხუთ ლიტრ წყალში დააღწობენ 250 გრამ სამზვარეულო მარილს). როდესაც ჭურჭელი

*.) ყველა აქ ჩამოთვლილ საშუალებებში ნივთიერებათა რაოდენობა 225 ლიტრიან (50—55 თუნგთან) ჭურჭლის გასარეცხად არის გამოანგარიშებული. როცა ჭურჭელი ამ საწყაოზე დიდია ან პატარა, მაშინ მის ტანის მიხედვით ამ ნივთიერებებს უფრო მეტს ან ნაკლებს აიღებენ.



გაშრება, გარეცხენ ცივი წყალით რამდენჯერმე.

ასე გარეცხილ ჭურჭელს ობიც და შმორის სუნიც კარგად ეცლება.

2) მეორე საშუალება.—დაობებულ-აშმორებულ ჭურჭელს ჯერ გარეცხავენ ცხელი წყალით, რომელშიაც გახსნილია ცოტადენი გოგირდის სიმჟავე*). შემდეგ ამ მჟავე წყალს ამოასხამენ და წმინდა წყალით გარეცხენ ჭურჭელს. წყალი რომ დაიწრიტება, ჩაჰყრიან ჭურჭელში დანაყილ ნახშირს (თუ ძველი ნახშირია ეს უფრო ემჯობინება), ჩაასხამენ ორ ჩაფ წყალს და შეაქანჰყარებენ ან სარცხით ამორეცხავენ ისე, რომ ნახშირის ფქვილი ყველგან მოხვდეს ჭურჭლის კედლებს. შემდეგ ნახშირიან წყალს ამოხაპავენ ხაპირით და რეცხავენ ჭურჭელს წმინდა წყალით, ვიდრემდისინ ნაწური წყალი ისეთივე სუფთა ამოვა, როგორიც ჩაისხა. ბოლოს ჭურჭელს დაუბოლებენ გოგირდით.

3) მესამე საშუალება. — ბედელის აზრით, რაც უნდა ძალიან იყოს აშმორებული ღვინის ჭურჭელი, იმის გაწმინდა ადვილად შეიძლება ამგვარად: ჭურჭელში ჩაასხამენ ორ ლიტრ მდულარე წყალს და ჩაჰყრიან შიგ 30 გრამ სამზვარეულო მარილს, 20 გრამ გადაქანებულ შავ-ქვას MnO_2 , დაასხამენ 50 გრამ გოგირდის სიმჟავეს და ყველა ამას აურევენ კარგად, დახურავენ შემდეგ ჭურჭელს და დააცდიან სამი დღე. შემდეგ ამისა გარეცხენ ჭურჭელს წყალით რამდენჯერმე, სანამ ნარეცხი წყა-

ლი დაიწმინდება და ჭურჭელს აღარავითარი სუნი აღარ ექნება.

თუ ჭურჭელს მიინცადამინც შერჩა შმორის სუნი, კიდევ გარეცხავენ ასევე ხელმეორედ და ბოლოს გამოავლებენ ცივ წყალს.

4) მეოთხე საშუალება.—ჭურჭელში ჩაასხამენ 24 ლიტრ მდულარე წყალს, ჩაჰყრიან შიგ 125 გრამ სამზვარეულო მარილს, მიუმატებენ 1 ლიტრ გოგირდის სიმჟავეს და 30 გრამ კალი-ქვის ტუტას. ყველა ამას აურევენ ერთმანეთში კარგად და ამ ნარევით რეცხავენ ჭურჭელს ერთი საათის განმავლობაში. შემდეგ ამ ნარევს მეორე ჭურჭელში გადაიღებენ და იმასაც ესევე გარეცხავენ. ყველა იმ შემთხვევაში როცა ჭურჭლის გასარეცხ სითხეს გოგირდის სიმჟავე ურევია, ხაპირი უნდა ხისა ან თიხისა იყოს, რადგან რკინას, თუნუქს და სხვა ლითონებს გოგორდის სიმჟავე აფუჭებს. ხელებსაც და ტანისამოსსაც უნდა გაუფთხილდეთ. როცა გოგირდის სიმჟავეთი დაკრული სითხე ამოიღება ჭურჭლიდან, ეს უკანასკნელი უნდა წმინდა წყალით ამორეცხოს, შემდეგ წყალითვე აივსოს და ესე დარჩეს სავეს ერთი დღის განმავლობაში. მეორე დღეს ჭურჭელს დასცლიან, გარეცხავენ კარგად და გააშრობენ. ამბობენ ამ საშუალებით ჭურჭელი ისე იწმინდება თითქო ახალიაო. ერთხელ გაკეთებული გოგირდის სიმჟავეის ხსნილი შვიდი-რვა ჭურჭლის გამოსარეცხად ვარგობს.

5) მეხუთე საშუალება.—აშმორებული და დაობებულს ჭურჭელში, რომელსაც ორი-სამი დღის წინად პირი უნდა ჰქონდეს ახლილი, რომ ჰაერი გამოიცივლოს, ჩაასხამენ 2 ლიტრ

*) რადესაც გოგირდის სიმჟავეს ხსნიან წყალში უსათუოდ უნდა გოგირდის სიმჟავე ჩაისხას წყალში და არა წყალი გოგირდის სიმჟავეში.

წყალს, მიუმატებენ 120 გრამ გოგირდის სიმჟავეს, შენჯღრევენ რომ გვერდები დაუსველდეს, მერე ამოასხამენ ამ მჟავე წყალს და ახლა ამის მაგივრად ჩაასხამენ ეგრედწოდებულ კირის რძეს (5 ლიტრი წყალი და 1 კილო კირი), შეაჯანჯღარებენ, ამოსწურავენ, შემდეგ გარეცხავენ წყალითა, დაუბოლებენ გოგირდს და დახურავენ.

ესეთი საშუალებით ქურქელი კარგად იწმინდება და შმორის სუნსაც ჰკარგავს სრულებით.

6) მეექვსე საშუალება. — შმორის სუნი ანუ გაფუჭებული ღვინის მარლის სუნი შეიძლება ქურქელს ასეც მოვაშოროთ: გამოხარშეთ წყალში ათიოდე გირვანქა მუხის ან წაბლის, ან ბროწიულის ქერქი, მიუმატეთ ამ წყალს ნაკრის ტუტე, ჩაასხით გასაწმენდ ქურქელში და ხშირ-ხშირად შეაჭანქყარეთ ქურქელი, რომ ყველა კედლები დაუსველდეს კარგად. ოთხი-ხუთი დღის შემდეგ ამოასხით ეს ტუტენარევი წყალი და გარეცხეთ ქურქელი წმინდა წყალით.

ქვევრებისა და ბოჩკების გასარეცხად კიდევ ბევრი სხვა საშუალებაც არის, მაგრამ სამწუხაროდ არც ერთი მათგანი არ არის სრულიად დამაკმაყოფილებელი—რასაც ამ საშუალებების სიმრავლევც გვიმტკიცებს. ამიტომ ის უფ-

რო კარგი იქნება, ქურქელი ისე შევინახოთ რომ არ გაფუჭდეს და როცა მის ხმარება დაგვჭირდება მარტო წმინდა წყალის ამოვლება კმაროდეს. ამისათვის ქურქელი დაცარიელების უმაღვე უნდა კარგად გაირეცხოს და გოგირდი დაებოლოს ხოლმე თვეში ერთხელ მაინც. თუ ქურქლის გაწმენდა მაინცადამაინც საჭირო გახდა, ყველაზე უებარი საშუალება ჟაველის*) წყალით გარეცხა იქნება. ჟაველის წყალი ქურქელს უთუოდ გაანთავისუფლებს შმორის სუნისაგან, ხოლო რასაკვირველია ამის შემდეგ ქურქელი უნდა უსიკვდილოდ გაირეცხოს კარგად ჯერ ცხელი წყალით და მერე ცივით.

ერთი სიტყვით ღვინის დამყენებელმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ქურქლის სიწმინდავეს. თვალყურის გდება უნდა არა მარტო ქურქელს, რომელშიაც ღვინო არის, არამედ იმასაც, რომელიც ცარიელია. აუცილებლად საჭიროა მარანიც და ქურქელიც, სადაც ღვინოს აყენებენ, სუფთა და წმინდა იყოს. არას დროს არ უნდა დავივიწყოთ რომ ბოჩკაში მარტო ერთი ყავარიც რომ იყოს გაფუჭებული ან ქვევრი თუნდა ერთ პატარა ადგილას იყოს დაობებული, ღვინო მაინც გაფუჭდება და ამოოდ ჩაივლის მთელი წლის მოსავალი.

სამკურნალო მცენარეულობა ჩვენში

1) პიტნა. Mentra silvestris, МЯТА. პიტნას დიდი გასავალი აქვს და ხშირად ფუთი 7—8 მანეთამდის ფასობს, ამიტომ ზოგან რუსეთში პიტნის პლანტაციების გაშენებასაც კი მისდევენ. ჩვენში—განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, მრავლად ხარობს ეგრედ-

წოდებული გარეული პიტნა. ეს უკანასკნელი, რასაკვირველია, დაბალი

*) ჟაველის წყალი მზადდება ასე: აიღებენ კალი-ქვის ტუტის ხსნილს და ჩაუშვებენ შიგ ქლორს. ქლორი კალი-ქვის ტუტეში დაიჭვრს წყალბადის ადგის ღ მზადდება ქლორიანი სიმჟავის მარილი: $2KHO + A^2 = KA = KAO + H^2O$.

ხარისხის საქონლათ ითვლება ბაზარზე, მაგრამ მაინც შეიძლება ფუთში ორისამი მ.ნეთის აღება. აგროვენ იენისის გასულს.

2) სალაბი, კუქმანია (მეგრ.) *Salvia шалфей*. გასავალი აქვს ფურცლებს. აგროვებენ მაისში და ახმობენ ჩრდილში. ფუთი ფასობს—2—3 მან.

3) ბარამბო, Melisse, Лимонная мята. ამ მცენარის ტოტებს ფურცლებიანათ აქვს გასავალი. უნდა მოგროვდეს ყვავილების გაშლის დროს. ფუთი ფასობს—2—3 მან.

4) აბზინდა, Absintium, ПОЛЫНЬ. გასავალი აქვს ფურცლებსა და ღეროების თავებს. აგროვებენ ივლისში. ფუთი ფასობს 3—4 მან.

5) ზირა, ზირაკი, Carum carvi, ТМИНЪ ПОЛЕВОЙ. გასავალი აქვს ზირაკის თესლს, რომელიც უნდა მოგროვდეს აგვისტოს გასულს.

6) ზამბახი, ვარდ-შროშანა ყვავილი, Convalar. majalis, ЛАНДЫШЪ. გასავალი აქვს ყვავილებს, (For, convalar. majalis), რომელსაც აგროვებენ აყვავების დროს—მაისში. ყიდულობენ ნედლათაც აფთიაქებში, რადგანაც ზამბახის ყვავილის წვეთები (Tinct. conular. majalis) უთუოდ ნედლი ყვავილებისაგან უნდა შემზადდეს. საღდება აგროვდევ გამხმარი ყვავილებიც. ფასი შედარებით სხვა მცენარეებთან მეტი აქვს.

7) ენდრო ბერძნული. ჩანტიანი, Gentian., Горечавка. გასავალი აქვს ენდროს ძირებს. აგროვებენ შემოდგომაზე. ახმობენ ჩრდილში.

8) ძირტკბილა, Glycerliza, Лакрица. ჩვენს ქვეყნის ძირტკბილის ძირებს უკვე დიდი ბაზარი აქვს მოპოვებული. გან-

ჯის გუბერნიიდან ყოველწლივ სამ მილიონ ფუთამდე გააქვთ ეს საქონელი, რომელიც საზღვარ გარეთ იგზავნიება. იქ ამ მცენარის ძირებს მცხოვრებლები აგროვებენ ზამთრობით, როდესაც უფრო თავისუფლებია. ფუთი იყიდება 20 კაპ.

9) მოცვი, მაურზი (მეგრ.), Arctostaphylos uvae ursi, ТОЛОКНЯНКА. გასავალი აქვს ფოთლებს მოცვისას. აგროვებენ ბუჩქნარის აყვავების დროს—მაისში.

10) სვია, პშალა (იმერ, მეგრ.), Humulus Cupulus, ХМЪЛЬ. გასავალი აქვს ექიმობაში სვიის კორძებს (ШИШКИ). აგროვებენ შემოდგომაზე.

11) უსუპის ყვავილი, Hyssopus officin., Иссопъ аптечн. გასავალი აქვს ბუჩქნარის ყვავილ-ტოტებს. აგროვებენ აყვავების დროს—მაისში.

12) კულმუხო, ბურგუმელო, ანდუზა Inula Helicum. Девясиль высокий. გასავალი აქვს კულმუხოს ძირებს. აგროვებენ შემოდგომაზე და ახმობენ ჩრდილში.

13) ტვია, ტიბ (მეგრ.), Inniper commun., Можжевельникъ обыкновен. გასავალი აქვს ტვიის ნაყოფს (ხილს), რომელსაც აგროვებენ სექტემბერში და ახმობენ.

14) ქონდარი, ქონდარა ბალახი (გარეული ქონდარი) Foeniculi officin. გასავალი აქვს ქონდარის ნაყოფს.

25) ლაფნი, Lauris nobilis, Лавръ обыкновен. დასავლეთ საქართველოში, განსაკუთრებით შავი ზღვის ნაპირებზე ლაფნის პლანტაციების მოშენებას მისდევენ გურულ-მეგრელები. აქედან ყოველ წლივ 30—40 ათასი ფუთი ლაფნის ფოთოლი გააქვთ სხვადასხვა და-

ნიშნულებისათვის, ხოლო ექიმობაში გასავალი აქვს განსაკუთრებით დაფნის ხის მწიფე ნაყოფს (Fruct. lauri).

16) სელი, *Jinnm usitatirs.*, *Ленъ.* გასავალი აქვს სელის კაკალს.

17) ბალბა, მოლოკი, ჩიტის პური *Malva silvestr.*, *Проскурнякъ дикій.* ექიმობაში გასავალი აქვს ყვავილებს. აგროვებენ გაუშლელ ყვავილს. ახლობენ ჩრდილში.

18) ვარდკაჭაჭა, *Melilotus officin.*, *Доиниъ аптеч.* გასავალი აქვს მცენა-

რის ძთელ ზევითა ნაწილს. აგროვევენ ივლისში. ახლობენ ჩრდილში.

19) ხეჭრელი, ხეშავი, ჩეჩქეტა, ტბიფსელა, *Rhamnus Frangula*, *Крушина Ломбая.* გასავალი აქვს ხეჭრელა ხის ქერქს, რომელსაც აგროვებენ გაზაფხულზე.

20) თავშავა, *Origanum vulg.*, *Душица обыкновен.* ექიმობაში გასავალი აქვს ფოთლებს (*Herb. origani*), რომელსაც აგროვებენ ივლისში.

ს. ელიავა

ამერიკულ ვაზის კულტურის მცოდნე პირთა თათბირი, მოწვეული მართულ სასოფლო-სამეურნეო საგომადგომების მიერ ქალაქ თელავში

სხდომა მეორე. 23 აპრილი 1912 წ.

თელავის საზოგადო საკრებულოს დარბაზი. კრებაზე 200-მდე კაცია, თავმჯდომარეობს ვ. ი. რცხილაძე, რომელიც ხსნის კრებას დილის 10 საათზე.

თავმჯდომარე. ვიდრე შევეუდგებით შემდეგი კითხვის განხილვას, ვსთხოვ კრებას დაასახელოს რამდენიმე პირი ბ. ავერკინის მიერ წარმოდგენილი ორი ბოთლო ღვინის გასაშინჯად. ეს ღვინო მიღებულია 1910 და 1911 წ წ. გრაფი შერემეტეივის კარდანახის მამულში ამერიკულ ვაზზე დამყნო ვენახიდან.

სადეგუსტაციო კომისიაში ასახელებენ: თ. ი. ა. ქობულავს, თ. გ. ვახვახიშვილს, ბ. ბ. ჩერნოვს, გოგინაშვილს, ანდრონიკაშვილს, მჭედლიშვილს, სესიაშვილს, ბეზარაშვილს და თავ. მაყაშვილს.

ამორჩეულნი პირნი გადიან მეორე ოთახში ღვინის გასაშინჯად. ამავე დროს იხსნება მსჯელობა შემდეგს საკითხზე: დანიშვნა იმ ადგილებისა, სადაც

დაწეებული უნდა იქმნეს მამავალი ცდა და დაკვირვება, აგრედვე იმისა, თუ რამედი კომბინაცია და რამდენი უნდა იქმნეს საცდელად აღებული?

ბ. კუპევევი. კომბინაციითა რაოდენობის გადაწყვეტა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორს მიზანს დავისახავთ. თუ მხოლოდ ვაზის ზრდის, შეთვისების და მსხმოიარობის შემოწმებას მოვისურვებთ, 20-ზე მეტი ცალი თითო კომბინაციიდან საჭირო არ არის; ხოლო თუ ჩვენ ამას გარდა მოვისურვებთ ღვინის ღირსების შემოწმებასაც, რაიც ჩემის აზრით, საჭიროა, უნდა აღებულ იქმნეს 100-ზე არა ნაკლები.

ბ. ტორომანოვი. ღვინის ღირსების შესამოწმებლად საკდელ ვენახების გაშენება მიმაჩნია ზედმეტად, რადგანაც ცნობილია, რომ ნერგს არავითარი გავლენა არა აქვს მასზე დამყნო ვაზის ღვინის თვისებაზე. ამიტომ წინადადება შემოაქვს ცდა მოეწყოს მხოლოდ ნამყნის შეთვისებაზე და მსხმოიარობაზე.

**ბ. ბ. მაკარაშვილი, ვერმიშევი ჭ სა-
რაჯიშვილი** უერთდებიან ბ. კუპევის
აზრს და წინადადებას იძლევიან საც-
დელ ვენახებისთვის დასახულ იქმნეს
ორივე მიზანი, რადგანაც ნიადაგის
მხრივ კახეთში ისეთი განსხვავებაა, რომ
ერთი და იგივე ჯიშის ვაზი სხვადასხვა
ადგილას სხვადასხვა თვისების ღვინოს
იძლევა და შესახებ ამისა ჯერ არავი-
თარი დაკვირვება არა გვაქვს სავეს და
უტყუარი.

ამის შემდეგ სწყდება მსჯელობა ამ
საკითხის შესახებ და თავმჯდომარე კი-
თხულობს გასასინჯად წარმოდგენილ
ღვინის დაფასებას. აღმოჩნდა რომ 1910
წლის მოსავლის ღვინომ ხუთ-ნიშნის
სისტემით დაფასებაში მიიღო საშუა-
ლო ნიშანი 4 (კარგი ნიშანი), ხოლო
1911 წ. მოსავლის ღვინომ კი — 2, 7.

დამფასებელმა კომისიამ ბოლოს დაა-
ყენა შემდეგი საკითხი: უნდა დავეკმა-
ყოფილდეთ თუ არა, რომ დღევანდელ
კახურ ღვინოების მაგიერ შემდეგში,
როდესაც ვენახები დამყნილი იქნება
ამერიკულს ვაზზედ, ასეთი ღვინო მი-
ვიღოთ, როგორც ბ. ავერკინს მიუ-
ღია? და კომისიამ ამ კითხვაზე კმაყო-
ფილება განაცხადა.

ბ. მაკარაშვილი. საჭიროდ სცნობს
მიღებულ იქმნეს მხედველობაში, რომ
1911 წ. მოსავალი მთელს კახეთში სა-
ზოგადოდ ვერ იყო კარგი ღირსებისა.
ღვინის გასინჯვის დროს უპირატესო-
ბა უნდა მიეცეს ქიმიურ ანალიზს, ვი-
დრე გემოვნებით გასინჯვას.

ბ. გოგნიაშვილი. არ ეთანხმება ბ.
მაკარაშვილს. უპირატესობას აძლევს
დეგუსტაციას.

ბ. კუპევი. მოხდენილ დეგუსტა-
ციას წესიერად არა სცნობს. მისი აზ-

რით წარმოდგენილი ღვინო უნდა გა-
სინჯულიყო დაუმცნობელ ვაზის ღვი-
ნოსთან ერთად.

ბ. მჭედლიშვილი. უპირატესობას
აძლევს ღვინის დაფასებას დეგუსტა-
ციით. შემდეგ უპასუხებს ბ. კუპევის:
„ეგ მართალია, მაგრამ ჩვენ არ ვაფა-
სებდით შედარებით. არამედ ვაფასებ-
დით წარმოდგენილს ღვინოს, როგორც
ასეთს“.

ბ. ჩერნოვი. ემხრობა ღვინის გემოვნ-
ებით დაფასებას და აღნიშნავს, რომ
ამ შემთხვევაში მეტია შედარებითი და-
ფასება. საკმარისია ვიცოდეთ, რომ
წარმოდგენილი ღვინო კარგია.

კრებამ დაადგინა: დეგუსტაციის შე-
დეგი მიღებულ იქმნას მხედველობაში.
სხდომა სწყდება 15 წამით.

სხდომის გახსნის შემდეგ თავმჯდო-
მარე მოკლედ აღნიშნავს კამათს, რო-
მელიც კრების შეწყვეტამდე მოხდა
დასმულ კითხვის შესახებ და იძლევა
ასეთს წინადადებას: მოწყობილი იქმ-
ნეს ორგვარი საცდელი ვენახები — მო-
ზრდილი საცდელი ვენახები, რომლე-
ბიც დაისახავენ ორივე მიზანს, და მეო-
რე — უფრო მომცრო ვენახები, რომლე-
ბითაც ვაზის ზრდა და მსხმოიარობა გა-
მოიცდება.

ბ. დემენტიევი. წინადადებას იძლე-
ვა პატარა-პატარა საცდელი ვენახები
ბლომად იყვეს აქა-იქ გაფანტული, რომ
მათი საშუალებით გამოარკვეული იქმ-
ნეს ვაზის ზრდა, სიტკბო-სიმჟავე ყურ-
ძნისა და მოსავლის რაოდენობა. ამათ
გარდა ტიპიურს ადგილებში გაშენე-
ბული იქმნეს საცდელი ვენახები უფ-
რო ფართო მიზნით. ნერგს, როგო-
რც უნდა იყოს იგი, არავითარი ვაე-
ლენა არა აქვს ღვინის ბუნებაზე, მხო-

ლოდ ძლიერ სცვლის მის შედგენილობას, რასაც არ შეიძლება გავლენა არა ჰქონდეს ღვინის ღირსებაზე. ფართო მიზნით საცდელ ვენახების გაშენება უნდა მოხდეს რიცხვით განსაზღვრულს ნერგებზე. წინადადებას იძლევა ნერგებზე აღებული იქმნეს მხოლოდ სამი ჯიში: რუბესტრის დიულო, რიპარია და ბერლანდიერი, რომ შესაძლებელი იყოს მათი მოთავსება შედარებით პატარა ადგილზე, ვინაიდან მეტად ძნელია კახეთში გამოძებნა მოზრდილ ადგილისა ერთგვარის ნიადაგით. საცდელი ვენახები უნდა იყოს 4—5, თანახმად იმ ტიპიურ ნიადაგებისა, რომლებსაც ვხედავთ კახეთში: 1) კირქარბი ნიადაგი, რომელიც მდებარეობს ცივ-გომბორის მთების კალთებზე; 2) თიხა-კირნარევი ნიადაგი, რომელიც მოსდევს პირველს; 3) შედარებით უფრო მძიმე თიხნარევი ნიადაგი და 4) ლამიანი ნიადაგები

ბ. ზაკტრეგერი. განზრახული ცდების მიზანია მივიღოთ ღვინო, რომლის ღირსებაც უნდა ვიცოდეთ და ჩვენ კი ვერ გავიგებთ, თუ ცდას ბოლომდე არ მივიყვანთ, ესე იგი არ გავსინჯავთ მიღებულ ღვინის ღირსებას.

თავმჯდომარე წინადადებას აძლევს დამსწრეთ თავიანთი აზრი გამოსთქვან შემდეგ საკითხის შესახებაც: **წამდენი სხვადასხვა გვარი ნიადაგია მთელს კახეთში და მათ კვალბაზე წამდენი სხვადასხვა ვენახი იქნება სჯობი?**

ბ. დემენტივეი. ტიპიურ რაიონებათ და ამ ადგილებისათვის შესაფერ ნერგის ამოსარჩევად საჭიროა ორი წლის ცდა მაინც. ჯერჯერობით შეიძლება მხოლოდ ზედ სამყნობი ვაზის ჯიშების ამორჩევა.

ბ. თავმჯდომარე. მოაგონებს ორატორს, რომ თვით მან ჩამოსთვალა წყლან მთელს კახეთში ოთხი ტიპიური ნიადაგი. წინადადებას აძლევს დამსწრეთ გამოსთქვან თავიანთი აზრი შესახებ იმისა, რამდენი ტიპის ნიადაგია კახეთში.

სიღნაღის მაზრელი გლეხი **ლ. ბეზარაშვილი** და სხვები. ნიადაგი მოსეს ქვემოდ ნაკლებ კირნარევი. ალაზნის პირზე მდებარე ადგილი, რომელიც ითვლება ზოგიერთების მიერ ლამიან ნიადაგათ, ნამდვილად ქაობიანია. იქ არავითარი მცენარე არა გვარობს, გარდა შორიქანა ბალახისა.

ბ. ყაზახაშვილი. უკვე დასახელებულს ოთხ ტიპიურ ნიადაგს უმატებს მეხუთესაც, რომელსაც შეადგენს ცივ-გომბორის მთების ჩამონაშალი.

ამ საკითხის გამორკვევის შემდეგ კენჭი ეყარა წინდაწინ განხილულს საკითხს: ტიპიურ ნიადაგის ადგილებში გამართული იქმნეს პატარა-პატარა სხვადასხვა ვენახები, თუ დიდი ვენახები ფართო მიზნით?

დამსწრეთა მომეტებული ნაწილი მომხრეა დიდი საცდელი ვენახების გაშენებისა.

ამის შემდეგ კრების განსახილველად დაყენებულ იქმნა შემდეგი კითხვა: **სად მკეფეს ეს სხვადასხვა ვენახები?**

ბ. კუპევეი. საკითხი, თუ რამდენი გაშენდეს საცდელი ვენახი და სად, უკეთესია გადასაწყვეტად გადაეცეს რამდენიმე პირისგან შემდგარს კომისიას.

ბ. ზაკტრეგერი. განზრახულ საცდელ ვენახების გაშენებაში მნიშვნელობა აქვს გარდა ნიადაგისა კიდევ ისეთ პირობებსაც, როგორც არის ჰავა, ადგილობრივი პირობები და სხვა.

კომისია, რომელიც შემდგარი იქნება რამდენიმე პირისაგან, ვერ შესძლებს ყველა ამ პირობების გათვალისწინებას, ამიტომ უკეთესია ეს საკითხი კომისიას არ გადაეცეს.

კრებამ დაადგინა: ამოიჩვენეს კომისია. კომისიაში ასახელდებენ ბ.ბ. ყაზახაშვილს, დემენტიევს, კუპეევს, საყვარელიძეს, მაკარაშვილს, ყარალაშვილს, ვერმიშევს, ფორაქაშვილს, ეკატერინელ. ჯანდიერისას, ზაქტრეგერს, ცისკარაშვილს, ტერ-არუთინოვს, იარალოვს, ქობულაოვს, არხიზოვს, ჩერნოვს, ნაცვლიშვილს, ტყავაძეს, ბასილაშვილს, ტორომანოვს, ჯორჯაძეს, სესიაშვილს და ა. მაყაშვილს.

ბ. თავმჯდომარე. ეკითხება კრებას: დავალებულ საკითხის შესახებ თავისი დასკვნა კომისიამ გამოიტანოს ეხლავე, ვიდრე თათბირი გათავდება, თუ მიეცეს დრო განიხილოს საკითხი თათბირის დახურვის შემდეგ?

ბ. დემენტიევი. საკითხის ეხლავე გადაწყვეტა შეუძლებელია, რადგანაც ამისთვის საჭიროა ადგილების დათვალიერება.

ბ. ტყავაძე. საკითხის გადაწყვეტა საჭიროა ეხლავე, რადგანაც თათბირის მომეტებულ ნაწილს შეადგენენ სოფლებიდან მოსულნი, რომელნიც თათბირის დახურვის შემდეგ წავლენ-წამოვლენ და ხელმეორედ მათი შეკრება შეუძლებელი იქნება.

კრებამ დაადგინა: ეთხოვას კომისიას თავისი დასკვნა შეიმუშავოს თათბირის გათავებაზე.

კომისიის სხდომა ინიშნება იმავე დღეს, საღამოს 6 საათზე.

განსახილველად იქმნა დასმული შემდეგი საკითხი: გათვალისწინება იმ საშუა-

ლებებისა, რომლებიც გამოაწვევას შეთანხმებული მოქმედება ადგილობრივ კულტურულ ძალებისა აღნიშნულ მიზნისკენ მიმართულია.

ბ. დემენტიევი. ასეთ ძალების შემერთებელ დაწესებულებად შეიძლება იქმნეს მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტი, რომელშიაც მთავრობის წარმომადგენელთა გარდა ადგილობრივი ძალებიც შედიან 50%-ზე არა ნაკლები რიცხვით. მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტს 21 აპრილის კანონით მინიჭებული აქვს დიდი უფლება და მოვლავება საკმარისი ქონებრივი საშუალება. ჩვენ მხოლოდ უნდა შეუერთდეთ არსებულს დაწესებულებს, ვითხოვთ კახეთში სარაიონო კომიტეტის დაარსება და შევადგინოთ იმ პირთა სია, რომელნიც შევლენ ამ კომიტეტში.

ბ. ფორაქიშვილი. მხოლოდ ერთი სარაიონო კომიტეტის დაარსება საკმარისად არ მიაჩნია. წინადადებას იძლევა ყოველ სოფელში დაარსებულ იქმნეს ადგილობრივი პატარ-პატარა კომიტეტები, რომლებიც შემდგარნი იქმნებიან ადგილობრივ გლეხთაგან და ინტელიგენციისაგან.

ბ. დემენტიევი. შეერთების მაგიერ ეს წვრილი კომიტეტები უფრო დაქსაქსავენ ძალებს. ამას გვიჩვენებს მაგალითი შიდა რუსეთისა, სადაც მრავლადაა კერძო დაწესებულებები, რომლებიც მოქმედობენ ცალკ-ცალკე და ნაყოფს კი არავითარს არ იძლევიან.

ბ. მჭედლიშვილი. საჭიროდ სთვლის ადგილობრივი კომიტეტები მოეწყოს იმ 4 ან 5 ადგილას, სადაც გაშენებული იქნება საცდელი ვენახი. ასეთი კომიტეტების ხელმძღვანელობა უნდა

დაველოს ქართულ სამეურნეო საზოგადოებას.

ბ. ზაკტრეგერი. კულტურულ ძალების შეერთება შეუძლიან მხოლოდ ისეთს დაწესებულებას, რომელსაც აქვს მეტი უფლება და ძალა. ასეთ დაწესებულებად უნდა ჩაითვალოს კახეთის სარაიონო კომიტეტი.

ბ. გოგნიაშვილი. საჭიროდ სცნობს შეერთებულ იქმნეს ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისა და მთავრობის აგრონომების და ინსტრუქტორების მოქმედება გადასაწყვეტად იმ საკითხებისა, რომლებიც შეადგენენ დღევანდელ თათბირის საგანს.

ბ. მთვარელიშვილი. არ შემოძლიან დავეთანხმო ორატორებს, რომლებიც გაიძახიან, რომ ბევრის გაკეთება შეუძლიან მხოლოდ იმ დაწესებულებას, რომელსაც მეტი უფლება აქვს. ბატონებო! მარტო უფლება არა კმარა. საქმისათვის საჭიროა ისეთი შეთანხმებული მოქმედება, რომლის შექმნაც შეუძლიან ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას პატარ-პატარა სასოფლო-სამეურნეო კავშირების დაარსებით და ამ კავშირების ნამდვილი ბეჯითი ხელმძღვანელობით. ასეთი კავშირები, ჩემის აზრით, ქსელივით უნდა გაიბას მთელს კახეთში და მიეცეს მათ ქონებრივი საშუალება და შესაფერი უფლება მოქმედებისა. ესეთი კავშირები მე დარწმუნებული ვარ, ბევრის გაკეთებასაც შესძლებენ.

ბ.ბ. ფორაქიშვილი, ციციშვილი და **მაყაშვილი** ეთანხმებიან ბ. მთვარელიშვილს.

ბ. ვერმიშევი. უერთდები ბ. დემენტიევის აზრს და საჭიროდ სცნობს სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კი-

თხვების გადასაწყვეტად დაარსდეს კახეთში ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება ნორმალურის წესდებით.

ბ. ტყავაძე. ბ. ვერმიშევის და სხვა მოლაპარაკეთა წინადადებანი უდრიან იმას, რომ ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას ვუთხრათ: შენ მოიწვიე დღევანდელი თათბირი, შენგან ესეც კმარა, შეგიძლიან ეხლა გაუქმდე; დანარჩენ საქმეს ჩვენ თვითონ გავაკეთებთ მთავრობის დაწესებულების — კახეთის მეღვინე-მევენახეთა კომიტეტის დახმარებით და ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების დაარსებით. ესეთი საქციელი, ბატონებო, მე უხერხულად მიმაჩნია“. შემდეგ ორატორი აღნიშნავს იმასვე, რაც ბ. მთვარელიშვილმა სთქვა.

ბ. ცისკარაშვილი. კულტურულ ძალების შეერთებისათვის ერთ-ერთ საშუალებად სთვლის რაც შეიძლება ხშირ-ხშირად იყოს ხოლმე გამართული ესეთი თათბირი, როგორც დღევანდელია.

საკითხი საკმარისად ირკვევა. თათბირი იღებს შემდეგს რეზოლიუციას: 1) აღძრულ იქმნეს შუამდგომლობა კახეთის მეღვინე-მევენახეთა სარაიონო კომიტეტის დაარსების შესახებ; 2) მოწვეულ იქმნეს ხშირ-ხშირად დღევანდლისთანა თათბირი და 3) შეწყობილ-შეთანახმებული იქმნეს ქალაქ ტფილისში არსებულ საზოგადოებრივი და სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო დაწესებულებათა მოქმედება, რომელნიც უხელმძღვანელებენ ადგილობრივ მუშაობას კახეთში.

შემდეგ მსჯელობა იწყება კითხვაზე: რამდენი დაჯდება საცდელ ვენახების

გაშენება და საიდან იქმნეს ადებული საჭირო თანხა?

აზრთა გაზიარების შემდეგ კრება განმარტავს, რამ სუთი სახეგრეს და რამ საძირე ვაზთა ჯიშნარების გაშენება დაჯდება 25,000 მანეთამდე. აქედან 10,000 მანეთის მცდეკა შეუძლიან ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას თავის თანხიდან, ხოლო 15,000 მანეთი კი უნდა ეთხოვოს მიწათმოქმედების დეპარტამენტს.

შემდეგ თათბირი იხილავს პროგრამის მე-5 მუხლს — რა ნაირად შეიძლება გამოვიყენოთ ამ საქმისთვის გლეხების მეურნეობა?

ბ. ყაზახაშვილი. უკვე ითქვა, რომ ფართო მიზნით გაშენებულ საცდელ ვენახების გარდა უნდა გაიბას ქსელივით პატარ-პატარა საცდელი ვენახები, რომლებიც ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს აზრით უნდა იყვნენ გამართულნი საჩვენებლად და იმავე პირობებში, როგორშია არის გლეხთა მეურნეობა. ასეთი საცდელი ვენახები უნდა მოთავსდნენ გლეხების ვენახებშივე. ამ საცდელს ვენახებს უნდა უვლიდეს მევენა-გლეხი ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მიერ დანიშნულ პირის ხელმძღვანელობით. იმ გლეხს, რომელიც არ დათანხმდება უფასოდ მუშაობას, უნდა მიეცეს სასყიდელი.

ბ. დემენტიევი. კახეთში, განსაკუთრებით კი სიღნაღის მაზრაში, გლეხები თავიანთ ვენახებს უვლიან მემამულეებზე უკეთ თუ არა მაინცდამაინც მათზე არა ნაკლებ. გლეხნი მემამულეებზე არა ნაკლებ არიან დანტერესებულნი ამ ცდით. მაშასადამე, უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ გლეხები დიდის სიამოვნებით გააშენებენ თავიანთ ად-

გილებზე საცდელს ვენახებს და თვითვე მოუვლიან დანიშნულ ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით. მხოლოდ უნდა მიეცეთ დასარგავად ვაზი და დანარჩენს თვითვე გააკეთებენ, თუ კი დარწმუნებულნი იქმნებიან, რომ მოსავალი და აგრედვე თვით ვენახიც მათი იქმნება. ასე ვიქცევით ჩვენც სახაზინო საცდელ ვენახების გაშენების დროს გლეხების ადგილებზე.

კრებამ დაადგინა: წინდაწინვე იქმნეს აჩუქი ადგილი, თუ სად გაშენდეს საცდელი ვენახი. ამის შემდეგ მიეტყოს გლეხს დასარგავი მასადა და დაევალოს მას ვენახის მოვლა უსასყიდლოდ იმ პირის ხელმძღვანელობით, რომელსაც მიუჩენს ქართული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება. განსაკუთრებულს შემთხვევაში, რადუსაც გლეხი-მევენახე არ დათანხმდება უფასოდ მუშაობას, მიეტყოს სასყიდელი.

ბ. დემენტიევი. სად უნდა ვიშოვოთ დასარგავი მასალა? ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება თავის საკუთარ სანერგედან მიიღებს მასალას მხოლოდ 3—4 წლის შემდეგ. აწ არსებული ერთად-ერთი კონდოლის სახაზინო სანერგე იძლევა მხოლოდ იმდენს ნერგს, რამდენიც საჭიროა სახაზინო საცდელ ვენახებისათვის, რომელთა რიცხვის შემცირება სასურველი არ არის, რადგანაც ამ საცდელს ვენახებს იგივე მიზანი აქვთ, რაც ექმნებათ ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ვენახებს.

თათბირმა დაადგინა: ეთხოვოს ვისაც ჯერ არს, რათა კერძო პირებზე ნერგის გასუიდა კანდალის სახაზინო სანერგედან შეჩერებულ იქმნეს და დაევალოს კანდალის სანერგეს დაამზადოს ნერგი განზრახულ საცდელ ვენახებისათვის.

დაწესებულ იქმნეს კონტრაფი კერძო საწერკეებზე.

შემდეგ ამისა თათბირი შეუდგა პროგრამის უკანასკნელი მუხლის განხილვას—გამორკვევა იმ საშუალებებისა, თუ როგორ გავრცელდეს ხაჯსში განზრახულ გამოკვლევათა შედეგი.

კითხვის ყოველმხრივი განხილვის შედეგ კრებამ დაასახელა ესეთი ღონის-

ძიებანი: 1) შრომაგანდა ბეჭდვითი სატყვით; 2) საუბრების მოწყობა სასოფლო-სამეურნეო კითხვებზე და 3) რაც შეიძლება მაქსიმალ მოწყვეთ დღევანდელისთან თათბირისა.

ამით თავდება სხდომა ნაშუადღევს 4 1/2 საათზე. შემდეგი სხდომა ინიშნება საღამოს 7 საათზე.

ს. კახეაძე

პროგრამა ნავთლუხში ქალბატონ სემარდასებზე დასრულებულ კურსებისა.

საკარმიდამო მეურნეობა

საკარმიდამო მეურნეობა და მისი გამოყენება. მნიშვნელობა პირადი უნარისა, ცოდნისა და გამოცდილებისა მოთავე დედაკაცის მხრივ. რა მნიშვნელობა აქვს დედაკაცის მაღალ ზნეობრიობას სამეურნეო მოღვაწეობაში.

სასწავლო საგნები საკარმიდამო მეურნეობაში.

ჯანსაღი აღამიანი და ცხოველი. სისუფთავე სადგურისა, საჭმელ-სასმელისა, ტანსაცმელისა და სხვა ჰიგიენური ნორმა და ნიშნები მასალის უვარგისობისა, აღამიანისა და ცხოველების ჯანსაღობისათვის.

საშუალებანი ჰაერის, სადგურების და სანოვავის გაწმენდა-გასუფთავებისა. გამზევება, დეზინფექცია, გაწურვა. წყლის გასუფთავება: ადუღებით, ჩალექებით და სხვა გზით. მოვლა-პატრონობა ბავშვებისა და დიდრონი აღამიანებისა. როგორ უნდა მიეცეს პირველი დახმარება: დაბორიელებულს, დამწვარს, გულწასულს, დაჭრილს, მოწამლულს აღამიანს. სისხლის შეწყვეტა.

ოთახების დალაგება, სამზვარეულოსა და სხვა შენობების მოწყობა. რეცხვა

და დაუთოება თეთრეულებისა. საჭმელების მომზადება, ცომის მოხელა, გამოცხობა. სასმელების მომზადება ხილიდან და ხორბლეულობიდან. ხილისა და ბოსტნეულობის გახმობა შესანახად:—გახმობა მზეზე, ცეცხლზე. დამარილება, მწნილი, მურაბა და სხვ. ზამთრის სარჩოს შენახვა. ჭურჭლის დარეცხვა, სპილენძეულობისა და სხვა ლითონების გაწმენდა-გასუფთავება. საჭირო დავთრები საკარმიდამო მეურნეობისათვის.

ფრინველების მოშენება

ფრინველების მოშენება როგორც მომგებიანი დარგი მეურნეობისა. ნაწარმოები ამ დარგისა. რა მიზანი აქვს და რა საშუალებას იძლევა შინაური ფრინველის მოშენება. სად როგორ სწარმოებს შინაური ფრინველების მოშენება. რა ნაირი ჯიშის ფრინველებს აშენებენ. კვერცხის მდებელი, საკლავი და ორივე ამ საჭიროებისათვის გამოსადეგი ფრინველები: იხვი, ბატი და ინდოური. რით განსხვავდებიან სხვადასხვა ჯიშის ფრინველები. მამლის არჩევა. ჯიშის გაუმჯობესობა, ჯიშნარევი ფრინველები.

ჰავისა და ნიადაგის მნიშვნელობა ფრინველების გაშენებაში. ადგილის ამორჩევა. საქათმეების გაკეთება, გეგმა საქათმეებისა, ერთ ალაგას დასადგმელი და გადასატანი საქათმეები.

ეზო და მისი გაკეთება. ფრინველების სხვადასხვა ალაგას დაბინავება (რონიალინალნაია სისტემა).

კმევა. საკვებავეები. მშვანეზე გაშვება. საკენკი. ზამთრის საკვებავი.

კრუხობა და წიწილების გამოჩეკა. კრუხის მოვლა. ფეჩებით გამოჩეკა წიწილებისა (ინკუბაცია). სხვადასხვა სისტემის ფეჩები. სად უნდა იდგნენ ფეჩები. კვერცხების გაშინჯვა ლამფის შემწეობით. წიწილების მოვლა და დაზრდა. ბინა მათთვის. მოზარდი ფრინველების მოვლა.

იხვეების მოვლა-მოშენება. დაზრდა ბატების ჭუკებისა. ჯიშის არჩევა. ინდოურების მოვლა-მოშენება; მათი ჯიშების შედარება. საკლავი ფრინველების გასუქება.

გამოკვების სხვადასხვა სისტემა. მანქანები გასასუქებელ ფრინველებისათვის. დაკვლა და გაბტყენა.

დაკლული ფრინველების შენახვა. საგზაოდ გამზადება და გაყიდვა. ბაზარი. კვერცხით ვაჭრობა. კვერცხის შენახვა. ღირსება კვერცხისა და ამ ღირსების ამოცნობა. კვერცხის ჩაწყობა საგზაოდ და გაყიდვა.

ფრთა-ბუმბული. სკინტილი ფრინველისა, როგორც პატივი ნიადაგისათვის. ავადმყოფობანი და მათი მიზეზები. სისხლის გაახლება. ავადმყოფობის ნიშნები და ავადმყოფობის ამოცნობა. ავადმყოფობანი, სუნთქვის ორგანოებისა, საჭმლის სახარშ ორგანოებისა, სხეულის გარეგანი ავადმყოფო-

ბანი. გადამდები ავადმყოფობანი. პარაზიტები. ბუმბულის გაცვივნა. ფრთების ამოგლეჯა. საავადმყოფო ფრინველებისათვის.

- 1) საქონლის მოვლა და ავადმყოფობანი.
- 2) სახადები.
- 3) სახადების წამლობა.
- 4) მანქანების ჩვენება.

მებალეობა

1) მებალეობის მნიშვნელობა ოჯახში და მისი სარგებლობა ნაწარმოების გაყიდვით.

2) სხვადასხვა გვარი ხეხილი მებალეობაში.

3) გამრავლება ხეხილის თესლით, კალმით, ბაყილოებით და გადაწიდვით.

4) ჰავა და ნიადაგი.

5) ხეხილის სანერგე.

6) უჯიშოთა მოდგმა და მათი ჯიშები.

7) ადგილის ამორჩევა სანერგისათვის და ხეხილის ბალისათვის.

8) ხეხილის დარგვა.

9) ხეხილის გასხვლა.

10) ბალის ხეხილის სხვადასხვაგვარი ავადმყოფობანი და მტერნი.

11) ხილის დაკრეფა, შენახვა და გასაგზავნად გამზადება.

საუბარი საქონლის საკვებავ ბალახების თესვა-მოყვანაზე

რა მნიშვნელობა აქვს საკვებავ ბალახების თესვას სოფლის მეურნეობაში. სხვადასხვა საკვებავი ბალახები. პარკეული და ბოლქვნარი მცენარენი. მათი შესწავლა საზოგადოდ და კერძოდ

თვითეულის. რა გვარი ნიღაგი უნდა აურჩიოთ ბალახებს. ჰავა და მისი ზედგავლენა. სარწყავი და ურწყავი ადგილები. გათიბვა და შენახვა თვისა და ზოლქენარ მცენარეებისა.

საუბარი მევენახეობაზე

ამერიკული ვაზი და მისი მნიშვნელობა. მყნობა ადგილობრივი და ევროპიული ჯიშის ვაზებისა ამერიკულ ვაზზე. ნამყენების სანერგე.

ყურძნის სხვადასხვა ჯიშები.

ჰავა, ადგილის ამორჩევა და მიწის შემუშავება ვენახისათვის. ვაზის დარგვა. გასხვლა შეხვევა და თავების წაჭრა ვაზისა. ვაზის ავადმყოფობანი და წამლობა.

საუბარი მეაბრეშუმეობაზე

თესლის შექმნა. აბრეშუმის ჭიის გამოყვანა. მისი კვება. პარკის მოგროვება და მოხარშვა. აბრეშუმის ჭიის ავადმყოფობანი. სხვადასხვა ავეჯი, რაც საჭიროა მეაბრეშუმეობაში.

ნამყენი ვაზით ვაჭრობა გურიაში

(წერილი სოფ. ასკანიდან)

წელს შედარებით გასულ წელზედ დიდი მოთხოვნილება იყო ნამყენი ვაზებისა, ვისაც მიწა ჰქონდა დამზადებული ისინი ნახევრამდე ვერ დაკმაყოფილდნენ. კარგი ნამყენი გურიაში იყიდებოდა 8—10 მანეთამდე ასი, გაზაფხულზე ვენახის გამოსავალმა უფრო აიწია ფასში და ასეთმა მოთხოვნილებამ ისიც გამოიწვია რომ, რაც უვარგისი უხვირო ნამყენი ჰქონდათ შენახული, ისიც გამოიტანეს ბაზარზედ და გაასაღეს.

საზოგადოდ გურიაში ეს ორი წელიწადი იქნება, რაც დიდი მოთხოვნილებაა ნამყენი ვაზებისა. ძვირათ შეხვედები ისეთ მოსახლეს რომ ცოტა ნამყენი ვენახი არ ჰქონდეს და დიდი სისრულით არ ეგებებოდეს ამ დარგს მუშაობისას. ძლიერ გული მტკივა ზოგიერთ გამყიდველებზე, რომელიც ასეთ საშვილისშვილო საქმეს „ტრანის გაყიდვის სახე მისცეს“ და იმათი მიზანი მხოლოდ მოტყუებაა, არ დაეძებენ რაზედ არის დამყენი ესა თუ ის ვა-

ზი ან რანაირ მიწას ითვისებს. ერთს შემთხვევას თვითონ მე შეეხვედრ სოფ. ასკანაში. ყველიერში სახლში ვიყავი ჩამოსული, ვაზის გამყიდველები სოფელში იარებოდნენ და მიწებს აგროვებდნენ. ზოგიერთმა სოფლის პირებმა კითხეს: კაცო რად გინდებოდა ეს მიწებიო? (ნუ დაგავიწყდებათ რომ ისინი იყვნენ უბრალო სოფლის მუშები). მან უპასუხა:—ამ მიწებს სახლში წავიღებ, გავიგებ მის თვისებებს, რომელი ამერიკული ვაზი ივარგებს ამ მიწაზე და იმას დავრგავ ზედაო.

ბატონებო! რამდენად დასაჯერია ასეთი ქცევა, თქვენც კარგად მოგეხსენებათ. ვანა იმ სოფლის მუშას, რომელსაც თითქმის ანბანის მეტი არა ვაეგება—რა, შეუძლიან მიწის თვისებების გაგება?! მაგრამ ეს იმას ნიშნავს. რომ ხალხს თვალი აებნას, ნამყენი ვაზი რომელ საძირზე იქნება დამყენი სულ ერთია, მათ მხოლოდ ის უნდათ თავიანთი უხვირო ვაზები გაასაღონ, რაც შეიძლება ძვირად.



გასულ წელს ბ-ნმა გარაემა საქარის სანერგეს გამგემ სოფ. ასკანაში დიომიდე ჭეიშვილის მამულში საცდელი ვენახები გააკეთა სხვადასხვა ამერიკულ ვაზებზე. ვნახოთ რა შედეგს მოგვცემს მისი შრომა. იქნება ასეთმა ცდამ მაინც მოულოდნელად მომავალში ზემოხსენებულ მძარცველობას.

ნათქვამია „ზოგი ჭირი მარგებალია“. სწორედ ზედ გურულებზედ არის გამოჭრილი.

ათი წლის წინედ საზოგადოდ გურიაში ძალიან ძვირად შეხვდებოდა ნამყენ ვენახს, დღეს კი ისეთი მოსახლე ძვირია, რომ ნამყენი ვენახი არ ჰქონდეს. სოფ. ასკანაში თავდაპირველად ბ-ნმა ს. ჭეიშვილმა დაიწყო ნამყენი ვენახის დარგვა.

ყველა სოფლელი გლეხი სასაცილოდ იგდებდა მის მოქმედებას. ზოგიერთი წვერი საზოგადოებისა ამასაც ამბობდა, რომ „ფული აქვს და არ იცის რაში დახარჯოს“. მომავალში რა სარგებლობას მოიტანდა მისი შრომა ეს არავინ იცოდა. დღეს კი ნათლად ხედავს ყველა წვერი საზოგადოებისა რომ ჭეიშვილის შრომას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. მისი მამულის ღვინო გასულ წელს საქარის სანერგეში იყო გაგზავნილი ან ალიზის გასაკეთებლად და აღმოჩნდა რომ ცოლიკაურს ჰქონდა 1909 წ. 16% სიმ. მალღარს . . . „ 1910 „ 13,64 „ კაბერნეს . . . „ 1910 „ 13,04 „

გასაკვირველია ასეთი სიმაგრე. თვით ხიმიკოსმა სთქვა, რომ ცოლიკაურს ძალიან მაღალ-ხარისხოვანი ღვინო დგებოდა, ძალიან ძვირად შეხვდებოდა ასეთს მაგარ ღვინოსო. სადაც ამ ღვი-

ნის სამშობლო არის იქ 13% გრადუს არ აღემატება მისი სიმაგრე საზოგადოდ. სოფ. ასკანაში ცოლიკაურს რგავენ რუპესტრ დიულოტზე დამყენი და კარგად ხარობს, რგავენ აგრედვე ადგილობრივ ჯიშს ჩხავერს, რომელიც სასიამოვნო ბუკეტის ღვინოს იძლევა. ნამყენი ვენახის დარგვა გამოიწვია იმან, რომ საზოგადოდ გურიაში ვაზი იყო მაღალ ხეებზე გაშვებული ადგესა (იზაბელა გიბრიდი), რომელიც შედარებით ძალიან ნელ ღვინოს იძლეოდა, და არა სასიამოვნო სუნის ჰქონდა. ეს 10 წელიწადი რაც ვენახებს ფილოქსერამ ძალიან გაუჭირა საქმე და ემუქრება თითქმის მთლად მოსპობას. ძვირად შეხვდებით ისეთს მოსახლეს, რომ 200—300 ფუთი ღვინო და 50—100 მანეთის არ გაეყიდნა. წინად. დღეს კი მოსავალმა თანდათან იკლო, შემამულე, რომელიც 300 ფუთს ღვინოს აყენებდა, დღეს 20—40 ფუთზე მეტი არ მოსდის. ამიტომ დაშინდა ხალხი და მიჰყვეს ხელი ნამყენი ვენახის დარგვას. ხოლო სოფ. ასკანა ძალიან ჩამორჩენილია სამეურნეო იარაღის შეძენაში. ამის შესახებ ბევრი თქმულა და ბევრი დაწერილა, მაგრამ არავის ყურადღება არ მიუქცევია. ნათქვამია „მულო შენ გეუბნები და რძალო გაიგონეო“, შეიძლება ასკანას შესახებ სამეურნეო იარაღზე არაფერი დაწერილა, მაგრამ სხვა საზოგადოების შესახებ იყო დაწერილი. დღესაც იმ იარაღებს ხმარობენ, რომელსაც რამოდენიმე წლის წინად ხმარობდნენ ჩვენი მამები და პაპები.

აქაურ ხალხს არ ჰყავს ისეთი წინამძღოლი, რომ სამეურნეო იარაღის შეძენაზე ელაპარაკოს და თუ ვინმემ

ისწავლა და გაათავა სამეურნეო სასწავლებელი თუ სხვა, ის თავის სოფელში არ იცდის. რა უჭირს იმ დალოცვილებს რომ მოიცადონ თავთავის სოფელში, ხელი გაუწოდონ გაჭირვებულ გლეხობას და ერთად მასთან რამე დანხარება აღმოუჩინონ? ზოგიერთს ახალგაზღობას რომ შევევითხე (რომელთაც სამეურნეო სასწავლებელი აქვთ გათავებული) რა გიჭირს კაცო სოფელში მოიცადოთ-მეთქი, მან მიპასუხა: — „ხომ არ გადარეულხარ ძამიავ შიმშილით მოკვდებო“.

ეს შეიძლება მართალი იყოს, იმიტომ რომ ბევრმა ხარჯმა და „ზეკუცია“

დიდი გადასახადი გამოიწვია, დღეს ფუთი სიმინდი სოფ. ასკანაში ღირს 1 მ. 20 კაპ.

რაც შეეხება სხვა შემოსავალს, ნამყენის გაკეთებით კი შეიძლება, მეწრეულს გავათავო საქარის სანერგის ორ წლიანი კურსი. ცოტა ნამყენი მქონდა გაკეთებული. გამოვგზავნე სახლში და დიდი სიხარულით მიქონდა ხალხს. ამასთან ამბობდნენ, რომ დიდი მოხარული ვიქნებით, თუ თქვენ გექნება სანერგეო. საუბედუროდ ნამყენი არ ეყო ხალხს და ბევრი მიწა დარჩა დაურგავი.

6. ჭეიშვილი.

საყურადღებო ცნობები

ნავთი ფქვილი მოკიდებული. — ხეხილებზე შესასხურებლად ჭია-მწერების წინააღმდეგ იმარება ხოლმე სხვათაშორის ნავთი მწვანე საპნით გასაპნული.

როგორც იწერებთან ესლა ამერიკაში საპნის მაგივრად ნავთს მოუკიდებენ ხოლმე წმინდად დაფქულს და კარგად ვაცრილს ფქვილს ჭვავისას ან პურისას.

ნავთის ნაღვამ თავახდილ ბოჩაში ჩაასხამენ ნახევარ ვედრაზე ცოტა ნაკლებს ნავთს და მოუკიდებენ 2 გირვანქა ფქვილს, ურევ: ნჯოხით ან ცოცხით რომ კარგად გაებას ფქვილი ნავთს. შემდეგ დაასხამენ ნახევარ ვედრა წყალს და 5—6 მინუტის განმავლობაში ურევენ. მერე მიუმატებენ კიდევ 2 ვედრა წყალს და რაც შეიძლება ღონივრად შეაჭანჭყარებენ. რამდენიმე დღის შემდეგ, თუ სითხემ ნავთი მოიგდო ზემოდან, ეს იმის ნიშანია რომ ფქვი-

ლი ცოტა ურევია. მიუმატებენ კიდევ ერთ გირვანქამდე ფქვილს, გაქნიან კარგად, როგორც ზემოდ იყო ნათქვამი, და წამალი მზად არის სასმარებლად.

ხეხილის ტილის გასაყრევინებელი წამალი. — აიღეთ ნავთი 12 ბოთლი
„ მდინარე წყალი 6 „
„ სპაონი 1/2 გირ.

ჩათალეთ სპაონი წყალში, შემოდგით ცეცხლზე, ურიეთ თან და გააცხელეთ აღუბებამდე.

მერე ცოტაცოტა უმატეთ ნავთი და ურიეთ. როცა წამალი გასქელდება ბადაგსავით, გადმოიღეთ და ერთი ბოთლი ამ წამლისა გადურიეთ ერთ ვედრა წყალს, გადურიეთ კიდევ ცოტა აქაფებული სპაონი და ასხურეთ ტილიან ხეხილებს.

მდგომარეობა 1912 წელს სამეურნეო შურნალი

წელიწადი მეოთხე „მოსავალი“ წელიწადი მეოთხე

გამოდის იმავე პროგრამით. მიიღება ხელის-მოწერა მარტო ტფილისში.

ურნალი ღირს წლიურად 3 მანეთი, ცალკე ნომერი—15 კაპეიკი.

რედაქცია ეცდება წლის თავზე ძვირფასი პრემია მიაწოდოს ხელის-მომწერლებს.

რედაქცია-გამომცემელი ვ. ი. რცხილაძე